

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



ოქტომბერი

2023



ელექტოენერჯიის ბაზრის მიმოხილვა

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორები:

ერეკლე შუბითიძე
უფროსი მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2023 წლის ოქტომბერში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 1%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 7%-ით შემცირდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 8%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 5%-ით გაიზარდა.
- გამომუშავებამ მოხმარებას 55 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2023 წლის ოქტომბრისთვის სრული წარმოების 5% და მოხმარების 6%-ია.
- ოქტომბერში განხორციელდა 0.014 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- ოქტომბერში ექსპორტი არ განხორციელებულა.
- მთავარი საიმპორტო პარტნიორი აზერბაიჯანი იყო.
- ექსპორტის ფასი 1.71 ცენტი, ან 4.61 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2023 წლის ოქტომბერში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზემოთ შენარჩუნდა და ინდექსის მნიშვნელობა 3,293-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2023 წლის ოქტომბერში ინდექსის მნიშვნელობამ 2,254 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰენი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელევიკო	თბილისის ელექტრომომარაგებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2023 წლის ოქტომბერი საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,043 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 1%-იან ზრდას წარმოადგენს (2022 წლის ოქტომბერში სრული წარმოება 1,034 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური ზრდა თბოელექტროსადგურების (+179%) გამომუშავების ზრდამ განაპირობა, მაშინ როცა ქარის (-11%) და ჰიდროელექტროსადგურების (-30%) გამომუშავება შემცირდა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 7%-ით შემცირდა (2023 წლის სექტემბერში სრული წარმოება 1,118 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე შემცირება ჰიდრო (-25%) და ქარის (-15%) სადგურების გამომუშავების შემცირებამ გამოიწვია, მაშინ როცა თბოელექტროსადგურების (+42%) გამომუშავება გაიზარდა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 988 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (8%-ით ნაკლები 2022 წლის ოქტომბერთან შედარებით და 5%-ით მეტი 2023 წლის სექტემბერთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2023 წლის ოქტომბერში ენერჯის წარმოებამ მოხმარებას 55 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 5%-სა და სრული მოხმარების 6%-ს შეადგენდა (2022 წლის ოქტომბერში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 44 მილიონი კილოვატსაათიანი დეფიციტი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში, როგორც სრული წარმოების, ასევე, სრული მოხმარების დაახლოებით 4%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2023 წლის ოქტომბერში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 608 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 58.2%), თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოება 429 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 41.1%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება - 7 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.7%) (დიაგრამა 2).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 50% გამოიმუშავა (303 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 38% (230 მილიონი კილოვატსაათი) და 12% (75 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით




წყარო: ესკო

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა გამოიმუშავა 168 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 39.1% და ჯამური გამომუშავების 16.1%), გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 169 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 39.4% და ჯამური გამომუშავების 16.2%), მტკვარი თესმა გამოიმუშავა 89 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 0.8% და ჯამური გამომუშავების 0.3%), ხოლო აირტურბინამ

გამომუშავა 3 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 0.8% და ჯამური გამომუშავების 0.3%), (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 39 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 12.8% და სრული წარმოების 3.7%). ენგურჰესმა 191 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯიის 63.1%-ს და სრული წარმოების 18.3%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2022 წლის ოქტომბერთან შედარებით 1%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (35% – 349 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (20% – 199 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (24% – 235 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (21% – 204 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა აფხაზეთისგან და პირდაპირი მომხმარებლებისგან შემცირდა, შესაბამისად, 7%-ით და 30%-ით ხოლო თელასი/თელმიკოსგან და ენერგო-პრო ჯორჯიასგან, შესაბამისად, 3.7%-ითა და 1.6%-ით გაიზარდა, 2022 წლის ოქტომბერთან შედარებით. საერთო ჯამში, 2023 წლის ოქტომბერში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 8%-ით ნაკლები შეადგინა 2022 წლის ოქტომბრის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2023 წლის ოქტომბერში საქართველოში 0.014 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა (2022 წლის ოქტომბერში 85.56 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). იმპორტის 100% შემოვიდა აზერბაიჯანიდან (2022 წლის ოქტომბერში იმპორტის თითქმის 100% რუსეთიდან შემოვიდა, ხოლო უმნიშვნელო რაოდენობის იმპორტი აზერბაიჯანიდან). 2023 წლის ოქტომბერში საქართველოდან ექსპორტი არ განხორციელდა (2022 წლის ოქტომბერშიც, ასევე, ექსპორტი არ განხორციელებულა) (დიაგრამა 10). 2023 წლის ოქტომბერში 503 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში (2022 წლის ოქტომბერში

განხორციელდა 282 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 70 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში).


2023 წლის ოქტომბერში იმპორტი შემცირდა 100%-ით 2022 წლის ოქტომბერთან შედარებით, ხოლო ექსპორტი 0 დარჩა.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


2023 წლის სექტემბერში იმპორტი არ განხორციელებულა, ხოლო 2023 წლის ოქტომბერში იმპორტი 0.014 მილიონი კილოვატსაათით გაიზარდა (დიაგრამა 11). 2023 წლის ოქტომბერში ექსპორტი 100%-ით შემცირდა 2023 წლის სექტემბერთან შედარებით (დიაგრამა 12).

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

1. საბაზრო ოპერაციები

2023 წლის ოქტომბერში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 83% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 17% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2023 წლის ოქტომბერში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 15 თეთრი კილოვატსაათზე, რაც 12%-იან წლიურ კლებას შეესაბამება 2022 წლის ოქტომბერთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 11.7 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 5%-იან წლიურ კლებას შეესაბამება 2022 წლის ოქტომბერთან შედარებით (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2023 წლის ოქტომბერში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით, 14.57 მილიონი ლარი იყო, რაც 2022 წლის ოქტომბრის მონაცემზე 13%-ით ნაკლებია (დიაგრამა 15).


დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2023 წლის ოქტომბერში, იმპორტის ფასები 1.71 ცენტი, ან 4.61 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 75%-იან, ხოლო ლარში - 76%-იან კლებას (2022 წლის ოქტომბერში ფასები 6.99 ცენტი, ან 19.48 თეთრი იყო კილოვატსაათზე). 2023 წლის სექტემბერში იმპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ თვიურ ტრენდს ვერ შევაფასებთ. 2023 წლის ოქტომბერში, ისევე როგორც 2022 წლის ოქტომბერში ექსპორტი არ ყოფილა, ამიტომ წლიურ ტრენდს ვერ შევაფასებთ. 2023 წლის სექტემბერში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი 7.00 ცენტი, ან 18.52 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს ფასის 100%-იან თვიურ კლებას.

დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




■ იმპორტის შეწონილი ფასი ■ ექსპორტის შეწონილი ფასი

წყარო: ესკო

2023 წლის ოქტომბერში, აზერბაიჯანიდან ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 1.71 ცენტს, ან 4.61 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო/საქსტატი

2023 წლის ოქტომბერში ელექტროენერჯის ექსპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ ფასებს ვერ შევაფასებთ (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი

2. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2023 წლის ოქტომბერში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზემოთ შენარჩუნდა და HHI ინდექსი 3,293 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2022 წლის ოქტომბრის მონაცემზე (HHI 3,217 ერთეული) მაღალი და 2023 წლის სექტემბრის მაჩვენებელზე (HHI 5,964 ერთეული) დაბალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2023 წლის ოქტომბერში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,254 ერთეულს გაუტოლდა (2022 წლის ოქტომბრის მაჩვენებელზე (1,929) მაღალი და 2023 წლის სექტემბრის მაჩვენებელზე (2,399) დაბალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო